№ 228
კვირა, 24 ოქტომბერი, 1899 წ.

ჟამი: 1877—1899

# ივერია

ბაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 228
კვირა, 24 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირას, 24 ოქტომბერს,

## დიმიტრი ყიფიანის საფლავზედ

მამა-დავითის ეკკლესიის გალავანში, ტფილისს

## პაშუანიძები

პანაშვიდის შემდეგ, დილის 11 საათზედ, რასაც საყოველთაოდ იუწყება მისი ოჯახობა. (3—6.—3)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუხჰალტერო კურსები"

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლით და ორის თვით იქმნება და **ეღირება ასი მანეთი.**

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

კურსებზედ ასწავლიან:

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გავუგზავნით პირველ მოთხოვნისათანავე.

(10—8) კურსების გამგე ჭ. მ. გიგინეიშვილი

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—15)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2—2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი
## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—60)

ტფილისი, 23 ოქტომბერი

როგორც ვიცით, ამ წლის შვიდს ნოემბერს ქალაქს კიევში რუსეთის ერი იდღესასწაულებს თვისის მხცოვანის მღვდელთ-მთავრის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის მიტროპოლიტის იოანნიკეს სამღვდელო ხარისხში მსახურების ორმოცდა-ათის წლის იუბილეს. რუსეთის ეკკლესია დიდის სიხარულითა და გულ მოდგინებით ეგებება ამ დღესასწაულს, როდესაც ცხადად გათვალისწინებულ იქნება მრავალ-ნაყოფიერი ღვაწლი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკესი, მისი ორმოცდა-ათ წლოვანი შრომა სასულიერო სარბიელზედ რუსეთის სახელმწიფოს სხვა და-სხვა კუთხეში. ქალაქს კიევში, სადაც ჩაიდგა საძირკველი რუსთა ქრისტიანობისა და ეკკლესიისა, იმ კიევში, რომელსაც სამართლიანად „რუსეთის იერუსალიმს" უწოდებენ, გადახდილ იქმნება დღესასწაული ამავე ეკკლესიის მეთაურის მიტროპოლიტისა, რომელიც თავმჯდომარე ბრძანდება უწმიდეს სინოდისა და უჭირავს პირველი ადგილი რუსეთის მიტროპოლიტთა შორის.

ნეტარი და ბედნიერია ის მოღვაწე, რომელიც ასეთის დღესასწაულის ღირსი შეიქნება, ვისაც წილად ხვდება ერისაგან ღვაწლის დიადი დაფასება, გულითადს მადლობასთან შეერთებული, ის მოღვაწე, რომლის ღვაწლი ორმოცდა-ათის წლის იუბილეზედ საზოგადოებას ცხადად თვალ წინ დაეხატება, და ის, მადლობით აღსავსე ამ ღვაწლის გამთვალისწინებელი, მხცოვანს მოღვაწეს, ქებათა ქებას შეასხავს. რუსეთის საზოგადოება, თანამკრძნობელი სასულიერო განათლებისა, 7-ს ნოემბერს მადლობას მიუძღვნის თვისს უსაყვარლესს, მშვიდს და მლოცველს მწყემსთ-მთავარს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს იოანნიკეს, რომელიც ორმოცდა-ათის წლის განმავლობაში თავ განწირულად ემსახურებოდა თავისს მშობელს და აღმზრდელს რუსეთის მართლ-მადიდებლობითს ეკკლესიას...

მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი იოანნიკე ცნობილია მთელს რუსეთში, როგორც იშვიათი მმარხველი და მლოცველი—როგორც ერთგულად და დაუკლებლად აღმასრულებელი მონოზანთა ცხოვრების წეს-რიგისა, ვითარცა უმაგალითო ქველ-მოქმედი, შემწყალებელი ღარიბთა და ღატაკთა, შემწე ქვრივ-ობლისა, აღმშენებელი მრავალთა სასწავლებელთა. აქ საჭიროდ აღარ ვთვლით ვრცლად ვუამბოთ მკითხველებს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს მთელი ღვაწლი, რომელსაც სამართლიანად დააფასებს აწმყო და მომავალი... აქ ვიტყვით მხოლოდ იმის შესახებ, რომ მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესი იოანნიკე საქართველოის ეკკლესიის ეგზარხოსადაც ბრძანდებოდა ხუთის წლის განმავლობაში (1877—1882 წლ.) და ქართველს ხალხს და საქართველოს სასულიერო წოდებას დაუვიწყარი ამაგი დასდო.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს ღვაწლთა შორის მის ეგზარხოსად ყოფნის დროს უნდა გავიხსენოთ, რომ მისის მეცადინეობით, შუამდგომლობითა და დახმარებით დაარსებულ იქმნა ქართულის ენის კათედრა ტფილისის სასულიერო სემინარიისა და საქართველოს ექვსს სასულიერო სასწავლებელში; ეს საგანი მასუკან სავალდებულო შესასწავლ საგნად იქმნა ცნობილი ქართველ მოზარდ თაობისთვის... მაშასადამე მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იოანნიკემ ამ კათედრის დაარსებით ფრიად ხელი შეუწყო ქართველ საეკკლესიო მოღვაწეთა მიერ მშობლიურ ენის ცოდნას, იმ ენის ცოდნას, რომელზედაც სრულდება საქართველოში ღვთის მსახურება და სწარმოებს საეკკლესიო მოძღვრება... როგორც უკეთილშობილესი ძე რუსეთის მართლ მადიდებელის ეკკლესიისა, გამსჭვალული ქრისტიანობრივის სიყვარულით თავისს თანაერთმორწმუნე ქართველ სამწყსოს მიმართ, ის ჰგრძნობდა მისს არსებითს, სულიერს საჭიროებას და კეთილ-მყოფელობას უწევდა ყოველსავე იმას, რასაც ამ საჭიროების დაკმაყოფილება შეუძლიან... მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იოანნიკემ საქართველოს ცხოვრების ისტორიაში უკვდავ ჰყო თავისი სახელი ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის დაარსებითაც... მისმა კურთხეულმა მარჯვენამ შესწირა საკუთარ საშუალებათაგან ოცდათვრამეტი ათასი მანათი ამ სასწავლებლის დასაარსებლად... ამით შეძლება მიეცა საქართველოს სასულიერო წოდებას დაეარსებინა ეს სასწავლებელი ამ ოცის წლის წინად, 1879 წელს. დღეს ამ სასწავლებელში სწავლობს ას ორმოცდაათამდე თითქმის სულ ქართველი ქალი... წრევანდლამდის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს ხარჯით ყოველ წლივ იზრდებოდა ამ სასწავლებელში ოცდა ოთხი ობოლი... ამავე სასწავლებელში სასულიერო წოდების ქალთა გარდა, იზრდებიან საერო წოდების ქალებიც.

სხვაც ბევრი ამაგი დასდო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იოანნიკემ საქართველოს ეკკლესიას, და ყველა ეს ამაგი, შეერთებული, ზნეობრივაც მოვალედ ხდის ქართველს საზოგადოებას რითმე პატივი სცეს პატივცემულს მწყემსთმთავარს მისის მოღვაწეობის ორმოცდა-ათის წლის იუბილეის დღეს. ქართლ კახეთის სამღვდელოების თხოვნით და საქართველოს ეგზარხოსის მინდობილობით მიბრძანდება ქ. კიევში ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, ეპისკოპოსი ალავერდისა, და თან მიაქვს მისს მეუფებას თვის ძვირფას შედგენილი ადრესი, რომელსაც მიართმევს იუბილიარს სამღვდელოების სახელით. ტფილისის სასულიერო სემინარიის მხრივ მიდის კიევს იუბილიარის მისალოცავად მამა რექტორი ამავე სემინარიისა, არქიმანდრიტი ჰერმოგენი, რომელსაც მიაქვს თან ადრესი სემინარიისა და ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლისა. ჩვენ ჯერ არა ვიცით რა საქართველოს დანარჩენ კუთხეების შესახებ, თუ რა სახით ჰსურთ პატივი სცენ პატივცემის ღირსს იუბილიარს... ჩვენ ჩვენის მხრით არ შეგვიძლია გულწრფელად არ ვურჩიოთ ქართველს სამღვდელოებას ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელი ექვს კლასიანად გადააკეთოს. დღემდის-კი სასწავლებელი სამკლასიანი იყო ექვსკლასიანი სასწავლებლის კურსით. თითო კლასი ორს კურსად განიყოფება. ყოველს წელს სასწავლებელს აქვს მხოლოდ სამი უფროსი კლასი: ერთს წელს თითოეული კლასის მხოლოდ პირველი კურსები და მე-

ორის მხოლოდ მეორე კურსები. ამის გამო სასწავლებელში მოწაფეები კურსს ყოველ წლივ არ ათავებენ, არამედ ყოველს მეორე წელს... ეს გარემოება ხელს უშლის სწავლის საქმეს და აგრეთვე ნებას არ აძლევს სასწავლებლის მთავრობას ბევრი მოსწავლე მიიღოს სასწავლებელში.

არ შეგვიძლია ამასთანავე არ გამოვთქვათ ჩვენი სამართლიანი და გულითადი სურვილი იმის შესახებ, რომ ქართველ სასულიერო წოდების დეპუტატთა კრებამ, რომელიც მოწვეული იქნება ამ წლის ნოემბრის თვეში, ხსენებული სასწავლებელი არა თუ მხოლოდ ექვს კლასიანად გადააკეთოს, არამედ აღძრას მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის ფლაბიანეს საშუალებით შუამდგომლობა უწმიდესის სინოდის წინაშე იმის შესახებ, რათა ამ სასწავლებელს მისის დამაარსებლის, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს სახელი ეწოდოს სამუდამოდ. ამით ქართველი სამღვდელოება ღირსეულად დააფასებს ღვაწლს სასწავლებლის დამაარსებლისას, მით უმეტეს, რომ ამ სასწავლებლის დაარსებიდგან წრეულს უკვე შესრულდა ოცი წელიწადი, და სწორედ ამ წელშიაც იდღესასწაულებენ მისის დამაარსებლის ორმოც-და-ათის წლის იუბილეს...

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს პატივისცემაში ქართველ სამღვდელოებას მხარი უნდა დაუჭიროს ქართველმა ერისკაცობამ და მისმა მოწინავე დასმა, თავად აზნაურობამ, რომელიც ერთს დროს დიდი მადლობელი და პატივით მომხსენებელი იყო მწყემსთ-მთავრისა... ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში სწავლობს რამდენიმე ღარიბი ქალი თავად-აზნაურთა წოდებისა და ძლიერ სასახელოს და სასარგებლოს საქმეს იქმს ჩვენი თავად-აზნაურობა, რომ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის იოანნიკეს სახსოვრად და სანუგეშოდ საქართველოში მისის ნაყოფიერის მოღვაწეობისა ერთს სტიპენდიას მაინც დააარსებდეს ამ სასწავლებელში ერთის აქ მოსწავლეთაგანის ასაზრდელად და ამ სტიპენდიას იოანნიკეს სახელს უწოდებდეს.

მიტროპოლიტი იოანნიკე ღირსიც არის ასეთის პატივისცემისა ქართველთა მხრით, რადგან იგი თვისის ექსარხოსობის დროს ცდილობდა მშვიდობის და სათნოების შეოხებით სასულიერო წარმატების გზაზედ დაეყენებინა საქართველოს სამწყსო და კაცთმოყვარეობითა ქრისტიანობრივის სამართლიანობითა და თანაგრძნობით მოიგო მისი გული. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე ჭეშმარიტად ისეთი ადამიანია, რომლის შესახებ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.“

ი. ფერაძე

# ახალი ამბავი

*** დღეს, 24 ოქტომბერს, მამა დავითის ეკკლესიის გალავანში, დიმიტრი ყიფიანის საფლავზედ აკურთხებენ ძეგლს. ძეგლს აკურთხებენ დილის 11 საათზედ პანაშვიდის შემდეგ.

*** საქართველოს ექსარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე გუშინ ტფილისიდგან ბოდბის მონასტერში გაემგზავრა მონაზონ ქალთა აღსაკვეცად და ბოდბეს სკოლის ათი წლის დღესასწაულზედ დასასწრებად.

*** 9 ნოემბრისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე „ცნ. ფ.“-ის რედაქტორის ვალ. გუნიასი, რომელსაც „ტფ. ფ.“-ის თანამშრომელი დავ. კეზელი უჩივის, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამაო.

*** 15 ოქტომბერს სტუდენტების გამოცდა დამთავრდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სახელმწიფო კომისიაში. სწავლა დაამთავრა, სხვათა შორის, სამმა ქართველმა: გომართელმა, ტატიშვილმა და ელიოზიშვილმა. იმავე კომისიამ გამოსცადა საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხით კურს-დამთავრებული ქართველი ქალი ქ-ნი ბაქრაძე. („ახ. მ.“).

*** ტფილისის საბაღოსნო სკოლაში მიღებულ იქმნა 17 ახალი მოსწავლე.

*** ახალ ჯარის კაცთა სამკურნალო შემოწმება ჯერ კიდევ არ გათავებულა. ჯერ-ჯერობით 200 კაციდგან 70 ყმაწვილ-კაცი იცვნეს სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგად.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბათუმის სკოლიდგან წელს ბათუმის კლასიკურს გიმნაზიაში ცამეტი მოსწავლე გადასულა; ერთი მათგანი ქართველი მაჰმადიანია.

*** კავკასიის მთავარმართებელმა საჭიროდ სცნო განსაკუთრებული კომისია დაინიშნოს იმ ზარალის გამოსარკვევად, რომელსაც აყენებს სოფ. თიონეთს ჯარისაგან თოფების სროლა.

*** იმ თხოვნების უმეტესი ნაწილი, რომლებიც მიწად-მოქმედების მინისტრს მიართვეს მისის კავკასიაში ყოფნის დროს, გარდაეცა მინისტრის რწმუნებულს ტ. ს. მედვედევს განსახილველად და მინისტრისათვის საჭირო ცნობების წარსადგენად.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა უბრძანა პოლიციის მოხელეთ, ნებას ნუ მისცემთ სოფლის ნაწარმოების გამყიდველთ ცარიელი ეტლები დააყენონ სავაჭრო ადგილებზედაო.

*** 19 ოქტომბერს მოხდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრება. სხდომაზედ, სხვათა შორის, წაკითხულ იქმნა ა. ა. კალანთარის მოხსენება რძის გამოფენის შესახებ, რომელიც პეტერბურგში გაიმართა. მომხსენებელს საჭიროდ უცვნია ამიერ კავკასიაში რძის სამეურნეო სკოლის დაარსება, ინსტრუქტორთა შტატის შედგენა მცხოვრებთა შორის რძის მეურნეობის შესახებ ცნობების გასავრცელებლად და ალპიის სადგურის დაარსება. კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღიძრას საზოგადოების სახელით მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე მოხსენებაში აღნიშნულ საგნების შესახებაო.

შემდეგ სხდომა შეუდგა შემდეგის საგნის განხილვას: არჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია სამეცნიერო შრომის შესადგენად კავკასიის ყველა სამეურნეო და სამრეწველო დარგთა შესახებ 1901 წლის სამეურნეო გამოფენისათვის. კრებამ დაადგინა მიენდოს ამ საგნის განხილვა განსაკუთრებულ კომისიასაო.

*** ამ დღეებში იმ ხმოსან-ტეხნიკოსებმა, რომელთაც ავჭალაში წყლის მილები დაათვალიერეს, საჭიროდ დაინახეს გამოყვანილ იქმნას ავჭალიდგან მეორე მთავარი მილი, ვიდრე განხორციელდებოდეს ინჟ. ლინდლეის პროექტი, რომლის მიხედვით ქალაქში წალკის წყაროებიდგან (ბორჩალოს მაზ.) უნდა შემოიყვანონ წყალი.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის-მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვით ტელეფონის შესანახად ტფილისსა, ფოთსა და ბათუმში 1900 წ. გამოანგარიშებულია 36,700 მან., საიდგანაც მარტო ტფილისს მოუწევს 20,000 მან. მომავალ წლისათვის ტელეფონის მავთულების გასამრავლებლად განზრახვა აქვთ 4 საჟენიან სვეტების მაგივრად, 6 საჟენიანი სვეტები შემოიღონ.

*** იმ კომისიას, რომელსაც მიენდო კავკასიაში ხარკისაკრეფის წესრიგის შეცვლა, ამ ჟამად უკვე შეუმუშავებია ამ საგნის შესახებ პროექტი, რომელიც განხილულ იქნება მომავალ თვის დამდეგს, როდესაც განზრახულია მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატების მმართველთა კრება.

*** სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილების თანახმად, ქაღალდის 25, 10 და 5 მანეთიანის ხმარების უკანასკნელ ვადად დანიშნულია 31 დეკემბერი 1899 წლისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხსენებული ქაღალდის ფულები აღარც სახელმწიფო გადასახადში მიიღება და აღარც სავალდებულო იქმნება კერძო კაცთა შორის სახმარად.

*** 20 ოქტომბერს განსაკუთრებულმა კომისიამ გამოსცადა შუშელვაჭრის კოჩაროვის-მიერ პარიჟიდგან დაბარებული თვით-მოძრავი ეტლი (ავტომობილი), რომლითაც კარგა ხანს იმგზავრეს ტფილისის სხვა და სხვა ქუჩებზედ და აგრეთვე საქართველოს სამხედრო გზაზედ მე 7 ვერსამდე. კომისიამ სცნო, რომ ეს ეტლი სრულიად საიმედოა სამგზავროდ არა მარტო გზატკეცილებზედ, არამედ ტფილისის ქუჩებზედ-ცაო. ეტლის პატრონს განზრახვა აქვს ხალხი ატაროს ამ ეტლით მუშის გზატკეცილზედ.

*** სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტმა განმარტა, რომ რამდენისამე კაცის ერთად აპეკუნებად (მზრუნველებად) დანიშვნა უფლებას არ აძლევს იმ აპეკუნს, რომელსაც ანგარიშს მოსთხოვენ საპეკუნო ქონების მართვა-გამგეობის შესახებ, გვერდი აუქციოს ასეთის ანგარიშის წარდგენას; მაგრამ სამაგიეროდ ერთის აპეკუნისაგან ანგარიშის წარდგენა ან თავისუფლებს დანარჩენთ ამ მოვალეობისაგანაო.

*** „კავკ.“-ს შეუტყვია, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას შესაძლებლად არ უცვნია მსვლელობა მისცეს შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას ტფილისში მსახურთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსების პროექტი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის „მატერიალურ“ საწყობის მუშებს აქამდე ვერ მიუღიათ ის ჯამაგირი, რომელიც ჯერ კიდევ 10 ოქტომბერს უნდა მისცემოდათ მათთვის, სახლის პატრონები ბინაზედ აღარ აყენებენ მათ და მედუქნეები-კი ნისიად აღარას აძლევენ, რადგან ჯერ მათ ძველი ვალებიც ვერ გაუსტუმრებიათ. მუშები ყოველივე ამის გამო საკმაოდ შევიწროებულნი არიან. („ტფ. ფ.“)

*** ქ. გორში, 16 ოქტომბერს, ქალაქის რწმუნებულთა კრებაზედ, ტფილისის გუბერნატორის წინადადების თანახმად, მოხდა ახალი არჩევნები ქალაქის რწმუნებულთა კრების თავმჯდომარისა დახურულ კენჭის-ყრით; არჩეულ იქმნა მიხეილ თედორეს ძე (იგივე ხუდადის-ძე) ხუდადოვი, რომელმაც ათი თეთრი კენჭი მიიღო, ხოლო შავი-კი არც ერთი. დადგენილება ამ არჩევნების შესახებ გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად. („კავკ.“)

*** 18 ოქტომბერს ს. კავთისხევიდგან ქ. გორისაკენ მიმავალს ი. ზ. ცხვედაძეს თავს დასხმიან არღანზედ მოქეიფე და ეტლით მოსეირნე თავ. თ—შვილები და ჩხუბი აუტეხნიათ მისთვის სრულიად უმიზეზოდ. „რაინდები“ მოკვლას უქადოდნენ ბ-ნს ცხვედაძეს, მაგრამ ამ უკანასკნელს დიდის გაჭირვებით დაუხწევია მათგან თავი, აიტანია-რა მრავალი ლანძღვა-გინება და შეურაცხყოფა.

# თეატრის მატიანე

ფული და ხარისხი, კომედია 3 მოქმ., თხზ. ქ-ნის აზიანისა.

მეფე და პოეტი, ისტორიული სურათი 1 მოქმედ. თხზ. ბანვილისა, თარგ. ი. ჭყონიასი.

ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, გამართულმა წარმოდგენამ საკმაოდ დიდი საზოგადოება მოიზიდა სათავად-აზნაურო თეატრში. მოსალოდნელიც იყო, რადგან ამ დღეს პირველად წარმოადგინეს ახალი პიესა ქ-ნის აზიანისა, „ინჟინერი და დოხტური“-ს ავტორისა, და, ამას გარდა, ჩვენს არტისტებით ღარიბს სცენაზედ ორი ახალგაზდა ქალის დებიუტი იყო დანიშნული — ქ-ნთ ანასტასია აბაშიძისა და აბხაზიშვილისა.

ახალი პიესა ქ-ნის აზიანისა „ფული და ხარისხი“, კომედია სამს მოქმედებად, მეტად ცოცხალი, თანამედროვე ცხოვრების შინაარსისა და სასცენოდ დაწერილი ნაწარმოები აღმოჩნდა. შინაარსი ამ პიესისა ორის სიტყვით გამოითქმის: სცენაზედ გამოყვანილია დავალიანებული თავადი ლამბაძე, რომელსაც ერთი ჩოხოსანი, მოქეიფე „ლხინიკო უქმაძე“ შვილი ჰყავს, ათას სასწავლებელში ნათრევი, მაგრამ ესრედ წოდებულ „საზნაურო კლასს“ გადუცილებელი. აი, ამას მისთხოვდება ატემ ფულიანცის ქალიშვილი, თავ-თხელა და ცუნცრუკა სწავლა-დამთავრებული ქალი, რომლის დედაც, სოფიო, თავადიშვილობისა და ხარისხიანობისათვის გაგიჟებულია. უსაქმური ლევან „უქმაძე“ მზითევს შესჭამს, მერე სიმამრთან გადადის საცხოვრებლად, ძალითა, მუქარითა და ხანჯლის ქნევით სიმამრს ფულსა სტყუებს და კვლავ ლოთობს. ბოლოს შემოაკვდება კაცი ლოთობის დროს და... ამით თავდება ეს შეუხამებელ-შეუფერებელი ცოლ-ქმრობა.

პირველი ორი მოქმედება შინაარსის სიცხოვლის მხრივ ბევრს არას წარმოადგენს. ეს ორი მოქმედება ავტორს ორის სხვა-და-სხვა ოჯახის დახასიათებისათვის მოუნდომებია — ქართველისა და სომხის ოჯახისათვის. ქართველის ოჯახში რომ მარტო მამულის დაგირავებისა და ქეიფის შესახებაა ლაპარაკი (თავ. დავით ლამბაძე ორას თუმნიან ვენახს ორმოც თუმნად უგირავებს ივანე მუშტაძეს, სოფლელ ჩარჩს, და სამოცის თუმნის ვალდებულების ქაღალდს უწერს), მეორე მოქმედებაში აწერილია ანგარიშიანი, ყაირათიანი ატემ ფულიანცი, რომლის საფიქრებელი და საზრუნავი მარტო ფულით ფულის მოგებაა, მამულების ყიდვაა, და ასეთივე ბაგრატა, მისი ცოლის ძმა.

ამ გვარად, ამ ორს ოჯახს შორის განსხვავება აგებულია ეკონომიურს ნიადაგზედ, ეროვნული განსხვავება მათ შორის არაფერს შუაშია. ლევან ლამბაძე რომ ლოთი, „ლხინიკო უქმაძე“ არ იყოს, ძალიან შესაფერისი საქმრო იქმნებოდა მაშოსათვის და იქნება ტკბილადაც დაელიათ ცხოვრება. პიესაში გამოყვანილია ვაჭრის, ბურჟუას გაძლიერება ფულის წყალობით და ამავე დროს მოწინავე წოდების, თავადიშვილობის დამცირება, დაუძლურება, დაძაბუნება და გათახსირება ამავე ეკონომიურ მიზეზთა გამო. ვაჭარი რომ ჰშრომობს, ცხოვრებას ებრძვის, ამ ბრძოლაში ეჩო თავისაკენ გააქვს და ძლიერდება, თავადიშვილი, ცხოვრებისათვის ყოვლად მოუმზადებელი და უმაქნისი, მარტო მამა-პაპეულ მამულების დაგირავებით ჰსულდგმულობს, უქმად ატარებს ცხოვრებას და ამ ქვეყნის ბარგად, ხორც მეტად და მეჭეჭად გარდაქცეულა. აქ ვაჭრად სომეხია გამოყვანილი ალბად იმიტომ-კი არა, რომ სომეხ-ქართველის ეროვნების მხრივ შეუხამებლობა აღნიშნოს ავტორმა, არამედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიული წრე ქართველთა შორის ახლად ნასახია ჯერ და ტიპიურს არას წარმოადგენს. თავადიშვილები სომხებსაცა ჰყავთ, იქნება ბევრი მათგანი ლოთი და ფულის მფლანგავი, უქნარაც იყოს, მაგრამ ასეთი სომეხი თავადიშვილი სცენაზედ ტიპიური არ იქნება, რადგან იგი ისეთს ზოგადს მოვლენას არ წარმოადგენს და რიცხვითაც მეტად ცოტაა.

ეს ორი ოჯახი დაუპირისპირა ერთმანეთს ავტორმა იმ აზრით, რომ შეძლებულს ვაჭრის ოჯახს ფულით თავადიშვილობა აყიდვინოს და შეუძლებელს თავადიშვილს ხარისხი ფულად გააყიდვინოს, ესე იგი მზითვის გულისათვის უბრალო სომხის ქალი შეართვევინოს. ასეთს კავშირს მოსდევს მესამე მოქმედება, სავსე აურზაურითა და უსიამოვნებით. ახალგაზრდა ცოლ-ქმარნი ძალიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა განუდგებიან ერთმანეთს, რადგან სომხის მოჭირნახულე ოჯახი ქართველის მფლანგავსა და უქმადჭამია სიძეობას ისე ვერ უერთდება დაურიგდება, როგორც ზეთი წყალს. არა გვგონია ავტორს ამითი იმ ტენდენციის გატარების სურვილი ჰქონოდეს, რომ ქართველისა და სომხის შეკავშირება და დამოყვრება შეუძლებელია და უბედურად ჩაივლისო, რადგან განა ქაღალდის მოთამაშე, დილით საღამომდე ლოთობა ღრეობით გატაცებული და ხანჯლის მოტრიალე, უქმად მოხეტიალე თავ. ლევან ლამბაძე ისეთივე უბედური ქმარი არ იქნებოდა ქართველის ქალისათვის, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყო ეს ქართველი ქალი?!. განა ისევე არ ილოთებდა, ისევე არ შემოიკლავდა კაცს და ისევე საციმბიროდ არ გახდებოდა?!. მაშ ქართველ-სომხობა აქ რაღა შუაშია ჩასაჩხირავად, თუ ასეთ გარემოებათა შორის ორის ქართველის ოჯახის შეკავშირებასაც ასეთივე შედეგი და დასასრული მოჰყვებოდა?.. მაშ რის თქმა უნდოდა ავტორს?..

არაფრისა. „ფული და ხარისხი“, როგორც ხელოვნების ნამოქმედარი, მეტად სუსტია, კომედია-კი არა, უფრო სცენებია, ცხოვრებიდგან მარჯვედ ამოგლეჯილი და წარმოსადგენად შექმნილი. იგი შინაარსით მოგვაგონებს განსვენებულ დრამატურგის ზ. ანტონოვის კომედიას: „მე მინდა კნეინა გავხდე“-ს. მოქმედნი თითქმის ისევ ანტონოვისა და გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების გმირნი არიან. ახალი თუ არის რამე, ეს ისევ ტიპია უსწავლელის, ლოთ, მოქეიფე თავადიშვილისა (ლევანი და კოწია), რომელთა მსგავსთაც, სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლოს დროს თავი ისახელეს და გაიციმბირეს.

ცალკერძ სომხის ოჯახი ავტორს თითქოს იმ აზრითა აქვს დასურათებული, რომ მაყურებელს გაუთვალისწინოს მიზეზი სომეხთა წელში გამაგრებისა და ქართველ თავადიშვილთა დაცემისა. ამ აზრს-კი პიესის საერთო შინაარსთან — ფულისა და ხარისხის შეკავშირებასთანა და ამ კავშირის შედეგთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. ავტორს შეეძლო სომხის ოჯახის ნაცვლად ქართველი მშრომელი ოჯახი გამოეყვანა და ერთის მხრივ აღენიშნა შრომის წყალობით აღმატება და გაძლიერება გლეხისა, ვაჭრისა, ან ხელოსნისა და მეორეს მხრივ ცხოვრებისათვის მოუმზადებლობისა და უქმობა-მფლანგობის გამო დაძაბუნება თავადიშვილობისა და მაშინ ფულსა და ხარისხს იგივე მნიშვნელობა მიეცემოდა, რაც პიესაში აქვს დათმობილი.

საერთოდ მოქმედება პიესაში სწრაფად სწარმოებს, ნამდვილის ხალხურის ენით არის დაწერილი და სახალისო მოსასმენია. ალაგ-ალაგ მოქმედთაგან პროვინციალიზმები და გაუკეზარი სიტყვები გვესმოდა, მაგალითებრ, „მამულები ჩაიგდე და ფლაურობ (?)“, „სელეზნოი (?) ხომ არა ხარ?“ და სხ. ძალიან სუსტად და მკრთალად არის აღნიშნული ივანე მუშტაძე, სოფლელი ჩარჩი, და ეტყობა ავტორს არა სცოდნია, რა განსხვავებაა „ზაკლადნოისა“ და „ვექსილს“ შორის: თავადი ლამბაძე ვენახს „ზაკლადნოით“ აძლევს მუშტაძეს და ეს ჩარჩი-კი „ვექსილსა“ სთხოვს, თითქოს ეს მეორე ვალდებულების ქაღალდი პირველსა სჯობდეს სიმტკიცით. ამას გარდა, არც სახელების შეთხზვის უნარი უჩანს ავტორს, პიესაში წამ და უწუმ გაისმის: ფულიანცი, კნეინა თავ-სუზუქი (გვარია?), კნეინა ცეტცეტაძე და კნეინა ტუტუცაძე და სხ. მაგრამ ეს წვრილმანია, თუმცა ყოველი ასეთი წვრილმანიც ყურს ეხამუშება და ეჩოთირება.

ასრულების მხრივ წარმოდგენამ თითქმის უნაკლულოდ ჩაიარა და დაატკბო თეატრში მყოფნი. ბ-ნი აბაშიძე მართლაც რომ შეუდარებელი არტემ ფულიანცი იყო და განსაკუთრებულის გუნებით თამაშობდა ამ საღამოს. ასევე მშვენიერი იყო ქ-ნი გაბუნია სოფიოს როლში. სუსტობდა ქ-ნი ვაშაკიძე, რომელსაც ტასიას როლი ვერ დაეძლია და, ვგონებთ, ვერც ვერასოდეს დასძლევს; ბ-ნი იმედაშვილიც სუსტი იყო თავ. დავით ლამბაძეს როლში. ბ-ნს იმედაშვილს სასცენო ნიჭი არ ეტყობა და მცირე როლებისათვის თუ გამოდგება. რაც შეეხება ქ-ნს ვაშაკიძეს, ჩვენის აზრით, ძნელად თუ იგი გამოდგეს საზოგადოდ ჩვენის სცენისათვის: ამ ქალს არც გარეგნობა აქვს სასცენო, არც ხმა უვარგა და არც ნიჭი ემჩნევა. ბ-ნმა შათირიშვილმა მოხდენილად დაგვიყენა თვალ-წინ ქარაფშუტა ახალგაზდა თავადიშვილი. კარგად შეასრულა თავისი პაწია როლი ბ-ნმა სვიმონიძემაც. ძველთა შორის სხვა აღარავინ მიგვაჩნია მოხსენების ღირსად.

განსაკუთრებულის სიამოვნებით აღვნიშნავთ ქ-ნს ანასტასია აბაშიძეს, ქალიშვილს პატივცემულ ვ. აბაშიძისას და ქ-ნ მ. საფაროვისას. ეს ყმაწვილი ქალი პირველად გამოვიდა სცენაზედ, მაგრამ ამ პირველ გამოსვლითვე ისეთი ნიჭი, ისეთი უნარი სცენაზედ თავის დაჭერისა, ისეთი შეგნება როლისა დაგვანახვა, რომ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა მთელი თეატრში დამსწრე საზოგადოება. სამწუხაროდ, ჩვენი სცენა ძალიან ღარიბია ნიჭიერ არტისტებით. ამ ოცმა წელიწადმა, ქ-ნ მ. საფაროვისა, ნ. გაბუნიას და ვ. აბაშიძეს შემდეგ, არც ერთი ნიჭიერი არტისტი არ შეგვძინა, ქ-ნ ე. ჩერქეზიშვილის გარდა. ეს ახალთა არტისტთა გამოუჩენლობა თითქმის სასოს გვიკვეთდა, უნუგეშობით გვავსებდა და უიმედოდ გვიხატავდა ჩვენის სამშობლო სცენის მერმისს. ეს ოცის წლით გაყინული უნუგეშ-უიმედობა ამ საღამოს შეალხო და შეალბო ქ-ნ ანასტასია აბაშიძის სცენაზედ ნახვამ. ახალგაზდა ქალს სასიამოვნო ხმა აქვს, კოპწია ტანი, მეტად მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, შეგნებული მოძრაობა სახისა და ყოველსავე ამას ასულდგმულებს ის ზეგარდმო მადლი, რომელიც უფრო ადვილად საგრძნობელია, ვიდრე აღსანიშნავი და გამოსათქმელი. ჩვენის აზრით, ანასტ. აბაშიძე, თუ თავი დაუდო სასცენო ხელოვნებას და ქართულს სცენას არ განშორდა, ჩვენის თეატრის ერთ დედა-ბოძთაგანად შეიქმნება, სწორედ ისეთ დედა-ბოძთაგანად, როგორნიც იყვნენ და არიან მისი მამა ვ. აბაშიძე და დედა მ. საფაროვისა, ორივენი ერთად და თითოეული ცალკე. ვუსურვებთ ახალგაზდა ქალს, რომ სამშობლო სცენა არ დაეტოვებინოს და საზოგადოდ თვისი უტყუარად თავ-ჩენილი ნიჭი, რომელიც, ეჭვი არა გვაქვს, თანდათან უფრო ფრთას გაიშლის და მუხლს გაიმაგრებს, ჩვენის სცენის კეთილდღეობისათვის მოეხმარებინოს თვისდა საქებადა და სასახელოდ.

რაც შეეხება მეორე მოდებიუტე ქალს, ქ-ნს აფხაზიშვილს, იგი პიესაში ასრულებდა მეტად უფერულს როლს კნ. ბაბალესას და, ამას გარდა, პირველს სცენას ვერ მივუსწარით. ამის გამო ამ ახალგაზდა არტისტი-ქალის შესახებ ჩვენს აზრს შემდეგ გამოვთქვამთ, როდესაც უფრო თვალსაჩინო როლი ექნება.

დასასრულ წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი ძველი, არა ერთხელ წარმოდგენილ-ნათამაშევი, ისტორიული სურათი „მეფე და პოეტი“.

საზოგადოება, ქ-ნ ანასტ. აბაშიძის სცენაზედ გამოსვლით აღტაცებული, ხანგრძლივის ტაშის კვრით მიეგება ახალგაზდა ქალს და ასეთისავე ტაშის კვრით გააცილა. რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზედ აგრეთვე ქ-ნი აზიანისა, რომელსაც პატივისცემის ნიშნად თაიგული მიართვეს.

მანოელიძე

# უცხოეთი

**ინგლისს ტრანსვაალის ომი.** ინგლისმა როგორც იქმნა საიდუმლოებას ფარდა აჰხადა და ნამდვილი ცნობები გამოაქვეყნა სამხრეთ აფრიკაში მომხდარ შეტაკების შესახებ ინგლისისა და ტრანსვაალის ჯარის შორის. თუმცა, რასაკვირველია, ეს ცნობებიც ჭეშმარიტებად არ მიიღება, მაგრამ მაინც იქიდგან უკვე ნათლადა სჩანს, რომ წინანდელი ამბები განგებ გაზვიადებული და გაბერილი იყო მთავრობის მიერ. ეხლა ინგლისელები გამოტყდნენ: 1, რომ გლენკოსთან პირველ ბრძოლის დროს იმათი ჯარი შეება მხოლოდ სულ მცირე რაზმს ბურებისას, მაშასადამე, დიდ გამარჯვებას ადგილი არ ექმნებოდა; 2, რომ ამ მცირე რაზმსაც-კი ვერც ერთი ზარბაზანი ვერ წაართვეს, პირ-იქით, თვით დაუტოვეს ბურებს ერთი კარგი ზარბაზანი; 3, რომ ჰუსართა მე-IX რაზმი (მთელი რაზმი და არა ერთი ესკადრონი, როგორც წინად აცხადებდნენ) ბურებმა ტყვედ ჩაიგდეს და პრეტორიაში გაჰგზავნეს; 4, რომ 9 ოქტომბერს დენდისთან ბრძოლა მოხდა, რომელშიაც ინგლისელთა გენერალი იული ისე დამარცხდა, რომ დაჭრილები, ავადმყოფნი, სურსათი იქ დასტოვა და თვით ლედი-სმიტში გაიქცა; 5, რომ ყველა ბრძოლაში ინგლისელებმა უფრო ბევრი კაცები დაჰკარგეს, ვიდრე ბურებმა; 6, რომ ლედი-სმიტი დღეს სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას; გარს არტყამს ამ ქალაქს 20,000 ბური, ინგლისელებს კი იქ მხოლოდ 10,000 კაცი ჰყავთ; 7, რომ 7 ოქტომბრიდგან დაწყობილი ბურები წინ მიიწევენ და ინგლისელნი უკან უკან იხევენ. ყველა აქედგან აშკარადა სჩანს, რომ გამარჯვება აქამდის ბურების მხარეს იყო და არა ინგლისელებისა, როგორც მათის მთავარ-სარდლების უაიტის და იულის დეპეშები აუწყებდნენ. ეს გაცხადება ბევრმა სასაცილოდაც კი აიგდო. აბა-კი როგორ არ არიან სასაცილონი: დეპეშებსა ჰგზავნიან, გავიმარჯვეთო, და იმავე დღეს-კი გუდა-ნაბად აკიდებულნი უკან გარბიან და ბურებს ემალებიან.

— გაზეთი „ტიმეს“-ი იუწყება, რომ ბურებმა დღემდის სულ 250 კაცი დაჰკარგეს ინგლისთან ბრძოლაშიო. გაზეთი არ იხსენიებს ინგლისელების ზარალს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მარტო ორს ბრძოლაში მათ 500 კაცზედ მეტი დაჰკარგეს.

— ტყვეების მიყვანას პრეტორიაში დიდი ცნობის მოყვარეობა აღუძრავს. აურებელი ხალხი შეკრებილა იმათ სანახავად. ტყვეები ქალაქზედ გაატარეს, შემდეგ ზოგი საავადმყოფოში მოათავსეს, ზოგი კიდევ კერძო სახლებში. აფიცრებს ბურებმა პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, რომ არ გაიპარებიან და სრული თავისუფლება მიანიჭეს.

— როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ინგლისს ამ ჟამად ლედი-სმიტში სულ 12 ათასი ჯარის-კაცი ჰყავს. ევროპიდგან გაგზავნილი ჯარი, როგორც ამბობენ, აფრიკაში ნოემბრის ნახევრამდე არ ჩავა. როდესაც ეს ჯარი ჩავა, მაშინ ინგლისის მთავარ-სარდალს გენერალს როდვერს ბულლერს ეყოლება სულ 47 ათასი ჯარის-კაცი, 11 ათასი ცხენი და 14 ათასი ჯორი. ზარბაზანი ექმნება სულ 164.

— უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, რომ ტრანსვაალის გამარჯვებებმა დიდად გაახარა კაპისა და ნატალის ახალშენში მცხოვრები ინგლისის ქვეშევრდომი ბურები. მთავრობა შიშობს კიდეც, რომ ეს ინგლისის ქვეშევრდომი ბურები თავიანთ მოძმე ტრანსვაალელებს არ მიეშველნენ. ამ შემთხვევაში ინგლისს ტრანსვაალის დამარცხება ძალიან გაუჭირდება. კაპის ახალშენში სულ 226,400 ბური სცხოვრობს, არა-ბური-კი, ესე იგი, უცხო-ქვეყნელი და ადგილობრივი ველური 150,500-ია; ნატალში — 4,065 ბური, 40,500 არა ბური, ორანჟეს რესპუბლიკაში — 100,500 ბური, 2.200 არა ბური, ტრანსვაალში — 250,000 ბური და 208,700 არა ბური.

**ინგლისი.** 13 ოქტომბერს, ინგლისის საზოგადოებათა პალატამ კრება სამხედრო სამინისტროს მოხსენების განხილვას მოანდომა. სამინისტრო თხოულობს დამატებითი ფულის გადადებას ომისათვის. ოპოზიციის ზოგიერთა წევრებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და ერთხელ კიდევ გაჰკიცხეს ჩემბერლენი და იმის პოლიტიკა. განსაკუთრებით საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ირლანდიელმა დეპუტატმა დევიტმა. ორატორმა ჯერ უარ ჰყო ის ხმები და ჭორები, რომლებიც ბურების შესახებ ინგლისში გაავრცელეს, ვითომ ისინი სასტიკად ექცევიან ტყვეებს, სტანჯავენ და აწვალებენ მათ. აღმოჩნდა, რომ ბურები, — სთქვა დევიტმა, — ჩვენზედ უფრო ჰუმანიურად და კარგად ექცევიან ტყვეებსაო. შემდეგ დევიტმა ხმა მაღლა განაცხადა, რომ აწინდელი ომი ბურებთან მართლა იმისთვის კი არ დაიწყო მთავრობამ რომ რამე უფლება მოუპოვოს უიტლენდერებს, ამ ომს სულ სხვა საგანი უდევს, იგი ნაყოფია ზოგიერთა [illegible] და ახკარებისა. მომავალ საუკუნეთა ისტორია ამ ომს მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს დანაშაულობად ჩასთვლისო. დასასრულ ორატორმა სთქვა, რომ ინგლისი თავისუფლების მტერია, ხუთი წელიწადია დეპუტატად ვარ და ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ინგლისის პარლამენტში სიმართლეს ადგილი არა აქვს. ამიტომ დეპუტატობას თავს ვანებებ და სამუდამოდ გავდივარ აქედგანაო.

## დამაკვირდა

დედაკაცის ჟინით სარგებლობასაც უნარი უნდა; ჟინის გამო დედაკაცი არას დაერიდება, ყველაფერს ჩაიდენს.

ა. ოსტროვსკი

* * *

„არსებობისათვის ბრძოლას“ თავმოყვარეობა არა სწამს.

ბ. დ—შვილი

* * *

გამარჯვებას მოელის იგი, ვინც ღმერთებსა და მეგობრებს იგონებს არა მხოლოდ თვისის საჭიროების დროს, არამედ უფრო მეტად სიდიდისა და ძლიერებისა.

ქსენოფონტე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად სოფ. მაკეევკაში, როგორც გაზეთები იუწყებიან, სადღაც გამქრალა და გადაკარგულა... საფოსტო სადგური. შემდეგ გაუგიათ, რომ ამ სადგურის იჯარადარს ადგილობრივსავე გლეხს, ღამე, 9 ოქტომბერს, საიდუმლოდ სადგური დაუქცევია, და შემდეგ ცხენებით, ეტლებით და ყველა იმით, რაც სადგურში ჰქონია, სადღაც გამქრალა. ეს ამბავი პირველად ბოქაულს გაუგია, რომელიც დილით ადრე სადღაც აპირებდა თურმე წასვლას. გაუგზავნია ბოქაულს კაცი და დაუბარებია, სადგურიდგან „ტროიკა“ მომიყვანეთო. — „სადგური სადღაც გამქრალა“, — უთქვამს კაცს, როდესაც დაბრუნებულა. „როგორ თუ გამქრალა?“ უკითხავს გაკვირვებულ ბოქაულს. „ბა რა მოგახსენო, ბატონო, ეს-კია, რომ სადგური აღარც იქ არის, სადაც წინად იყო და აღარც სხვაგან სადმე სჩანს. დედაკაცები ამბობენ, უთუოდ ეშმაკები მოიტაცებდნენო“. რამდენი არ ეძებეს, მაგრამ ვეღარც სადგური იპოვნეს თურმე და ვეღარც იჯარადარი გლეხი.

* * *

როგორც კოპენჰაგენიდგან იუწყებიან, დანიას ამ ბოლოს დროს მრავლისაგან-მრავალი თაგვები შესევიან თურმე. ზარალი, ამ თაგვებისაგან მიყენებული, იმდენად დიდია თურმე, რომ თაგვების ამოწყვეტის საქმე სახელმწიფო კითხვად გარდაქცეულა დანიაში. მთავრობა, ბოლოს, იძულებული გახდა პრემიები დაენიშნა იმათთვის, ვინც თაგვებს ამოსწყვეტდა. ამ ზომამ გასჭრა და აი უკვე სამი კვირა იქმნება, რაც დანიელთა და თაგვებს შორის ცხარე ბრძოლაა. როგორც ამ ბრძოლის ველიდგან მოსული ცნობები იუწყებიან, ჯერ-ჯერობით დანიელნი იმარჯვებენ თურმე. პირველ კვირას მათ 6000 თაგვი გაუწყვეტიათ, მეორე კვირას — 6,600, ხოლო მესამეს — 6,800 თაგვი. იმედი აქვთ, რომ ამიერიდგან, სამის კვირის ბრძოლით დახელოვნებულნი დანიელნი, შესძლებენ კვირაში 10,000 თაგვის გასტუმრებას საიქიოს. ეს-კია, რომ გამარჯვებულებს თაგვების ამოსაწყვეტი მასალა შემოჰკლებიათ და ახალს მოელიან ამ დღეებში. თავისს დროზედ ვაუწყებთ მკითხველებს რით გათავდება ეს ბრძოლა.

* * *

ნიუ-იორკის მაღალ საზოგადოებაში ამ ბოლოს დროს სალაპარაკო საგნად გადაქცეულა ერთი ზანგი მილიონერი, ვინმე უელმი. ეს უელმი ჩიკაგოელია. წინად მეჯინიბეთ ყოფილა. შემდეგ დოლებში იღებდა თურმე მონაწილეობას და ამ დოლების წყალობით მალე რამდენიმე მილიონი დოლლარი შეუძენია. რასაკვირველია, მას შემდეგ ეს მილიონები იზრდება და ეხლა თვით ზანგსაც ვერ გამოუანგარიშნია თურმე, რამდენი მილიონის პატრონია. პირველ ხანს ნიუ-იორკის მილიონერები ამ ზანგს ახლოს არ იკარებდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც მან თავისის შესანიშნავის ვახშმებითა და სადილებით მთელი ნიუ-იორკი აალაპარაკა იმათაც თავიანთის სახლის კარები გაუღეს, და სიამოვნებით მიიღეს. ყველაზედ მეტ ყურადღებას ამ ზანგის გარდერობი იქცევს თურმე. ეს გარდერობი რაღაც მეზღაპრულად გარდაიქცა. აურებელი ხალხი მიდის თურმე იქ მისტერ უელმის ტანისამოსის დასათვალიერებლად. ფრაკები, პინჯაკები, შარვლები რომ არ მოვიხსენიოთ, მარტო

გალსტუკებს, გულის ქინძისთავებს და სხვა ამ გვარ რამეებს მთელი ოთახები უჭირავს თურმე. პირველ სადილზედ, რომელიც უელმა ნიუ-იორკის მდიდრებს გაუმართა, სტუმრებმა ძვირფასი საჩუქრები მიიღეს გულ-უხვ მასპინძლისაგან: მამაკაცებმა უელმის საყვარელ ცხენის ქანდაკებანი, ვერცხლისაგან გაკეთებული, ხოლო დედაკაცებმა—ოქროს ტარიანი ქოლგები. მეჯინიბედ ნამყოფი ზანგი ეხლა ნიუ-იორკში თითით საჩვენებელ გმირად გამხდარა თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ორშაბათს, საღამოთი, ბურები ხელ-ახლა მიადგნენ ლედი-სმიტს და რამდენიმე ყუმბარა ესროლეს ინგლისელთა ბანაკსაო. სამშაბათს, გათენებისას, ბურებმა ახალი ზარბაზნები დადგეს სასროლად. ამბობენ, რომ ბურებმა ძლიერ იზარალესო. ინგლისის ჯარი კარგ მდგომარეობაშიაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. უაიტი დეპეშაში ასე აღწერს 18 ოქტომბრის ბრძოლას: „ინგლისელებმა რეკოგნოსციროვკა, რომლისთვისაც დიდი ჯარი იქმნა გაგზავნილი, კარგად შეასრულეს. ამავე დროს ბურებმა თავი მიანებეს იმ ადგილს, სადაც გამაგრებული იყვნენ. შემდეგ ბურებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ჩვენს ჯარზედ. ინგლისელთ ნელ-ნელა უკან დაიწიეს, აქა-იქ დასტოვეს მხოლოდ მცირე რაზმები. პოლკოვნიკის კარლტონის რაზმი კვირას საღამოთი გაემართა ერთის ადგილის დასაჭერად, რადგანაც ამ რაზმს ჯარის მარცხენა მხარე უნდა დაეცვა. მოულოდნელად ორი უზარ-მაზარი ქვა ჩამოვარდა და ამან საშინლად დააფრთხო ჯორები, რომელთაც ტყვია წამლის ყუთები ეკიდათ. ამ ჯორების დაჭერა ვერაფრით ვეღარ მოახერხეს. რაზმმა დიდ-ძალი ტყვია წამალი დაჰკარგა. ამავე დროს ქვეითა ჯარმა შუბებით გზა გაიკვლია და ცოტაოდენის ბრძოლის შემდეგ გორაკი დაიჭირა, სადაც გათენებამდის დაჰყო. ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და იერიში მიიტანა. 3 საათზედ ინგლისის ზოგიერთს რაზმს უკან დაწევა ებრძანა. იმათი ადგილი ბურებმა დაიჭირეს. ვინც ცოცხალი გადარჩა, მოწინააღმდეგემ ტყვედ წაიყვანა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ქვეითა ჯარის $10\frac{1}{2}$ როტა და ერთი სამთო ბატარეა. ამათ უნდა მარჯვენა მხრიდგან მოეარათ მტრისთვის და ნიკოლსონნეკი დაეჭირათ. ჯარის დამარცხება უნდა მიეწეროს ჯორების დაფრთხობას და თოფ წამლის და იარაღის დაკარგვას. ლედი-სმიტს არავითარი განსაცდელი არ მოელის“.

**ბერლინი.** როგორც ბერლინელი გაზეთები იუწყებიან, ისლანდიელთა ერთი გაზეთი სწერს ლედისმიტთან ინგლისელების დამარცხების შესახებ: „ირლანდიაში თავისუფლების გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია, მაგრამ ამ სიხარულს ურთდება ის სამწუხარო ამბავიც, რომ ირლანდიელნი ჯარის კაცნი თანამოზიარენი არიან იმ უბედურებისა, რომელიც მტანჯველებს სამართლიანად დაეცა. შემდეგ გაზეთი სწერს: „ის აზრი, რომ ინგლისს შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს მანჯურიასა და ინდოეთშიო, საცინელი ხდება უაიტისაგან მოსულის მოხსენების შემდეგ. ლონდონელი გაზეთები სცდილობენ ჩააფუჩეჩონ ეს საქმე, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ იმპერია დამარცხებულია. მოვა დრო, როდესაც ბრიტანიის ხალხი მოითხოვს თავისს ლეგიონების დაბრუნებას და ჩემბერლენს პასუხის გებაში მისცემს.“

21 ოქტომბერი

**ბერლინი.** „Local Anr.“-ს ლონდონიდგან ატყობინებენ: როგორც ოლდერ-შოტიდგან იუწყებიან, იქ ამ ცოტა ხანში შესდგება სრული დივიზია, სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად.

**პეტერბურგი.** დღეს, ტახტზედ ასვლის დღესასწაულის გამო, დეპეშები მოვიდა მოსკოვიდგან, ვილნოდგან, ყაზანიდგან და სხვა ქალაქებიდგან, რომლებშიაც იუწყებიან, რომ პარაკლისები იქმნება გარდახდილიო.

**ლონდონი.** 21 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო.“ გაზეთები თან და თან ჰკიცხავენ აფრიკაში მყოფ ჯარის გენერლების მოქმედებას. „Times“-ი ამბობს, რომ გენერალ უაიტის გეგმა არა სამხედრო კაცსაც-კი საშიშოდ ეჩვენებაო.

**ედინბურგი.** „რეიტერის სააგენტო.“ ბანკეტზედ, რომელიც გამართულ იქმნა სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნ ჯარის პატივ საცემად, როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: „შეიძლება, ინგლისმა ამ ომში სხვა ბატალიონებიც დაჰკარგოს, ბრძოლამ აფრიკაში სხვა აფიცრებიც იმსხვერპლოს და მილიონების გადადებაც საჭირო გახდეს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ინგლისი ეხლა უკან ვეღარ დაიხევს და ერთხელ დაწყებულს საქმეს ვერ მიანებებს თავს. ვინ არის ყველა ამაში დამნაშავე და ვინ არა,—ეს შემდეგ გადაწყდება, ეხლა-კი ხალხი უნდა მიენდოს იმათ, ვის ხელშიაც სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეა“.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. უმაღლესი სასამართლო შეიკრიბება 28 ს და არა 29 ოქტომბერს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 17 ოქტომბერს ლედი-სმიტიდგან გამოგზავნილი: ბურები წინ მიდიან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. როგორც ეტყობათ, ბურებს აზრადა აქვთ კოლენზოსთან რკინის გზა დაიჭირონ და მიმოსვლა მოსპონ პიტერ-მარიცბურგსა და დურბანს შორის“.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ინდოეთის სტატს-სეკრეტარმა ინგლისში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ სამხრეთი აფრიკა სრულიად შეიცვლებაო. როდესაც ინგლისი თავისს პირობებს წამოაყენებს, ყველა ერნი მიჰხვდებიან, რომ ინგლისს ჰსურდა აფრიკის განთავისუფლება დამამცირებელ მტარვალობისაგანაო.

**ლონდონი.** როგორც „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ, დღეს სამხედრო სამინისტროს უაიტისაგან დეპეშა მიუღია. ამბობენ, დეპეშაში ნათქვამია, რომ საქმე ჯერ კარგად არის და უაიტს შიში არ მოელისო.

„Times“-ში დაბეჭდილია დეპეშა დეაარიდგან მიღებული. როგორც ამბობენო, იუწყება დეპეშა, 3000 ბური ბეჩუანის ხიდთან სდგასო. ეს ხიდი ორანჟეს მდინარეზეა.

22 ოქტომბერი

**კაპშტადტი.** იმ ამბავმა, რომ ბურებმა ლედი-სმიტში ორჯელ გაიმარჯვესო, დიდი არეულობა გამოიწვია. აფრიკანდერები ბურების გამარჯვებების გამო თავიანთ სიხარულს აღარა ჰმალვენ. მათი მოქმედება ძალიან აფიქრიანებს გუბერნატორს მილნერს. ორს ბრძოლაში გენერალმა უაიტმა დაჰკარგა 3,500 კაცი; ამათში ზოგი მოკლულია, ზოგი დაჭრილი, ზოგიც მტერმა ტყვედ წაიყვანა. ამ ორს ბრძოლაში მეორედ ორანჟელებმა გაიმარჯვეს, გენერალის ლუკას მეიერის წინამძღოლობით. მეიერმა კოლენზო დაიჭირა და ამ რიგად უაიტს გასაქცევი გზა წაართვა. ამასთან ამბობენ, რომ უაიტი დაჭრილიაო. ბურები ლედი-სმიტს გარშემო არტყიან. ამ ქალაქიდგან გამოსვლა შეუძლებელია. პიტერმარიცბურგისა და დურბანის რკინის გზა ბურების ხელშია. როგორც დასავლეთიდგან იუწყებიან, ბურებმა მეფეკინგსაც შემოარტყეს ალყა. ამ ქალაქის აღებას დღე-დღეზედ მოელიან. ის ხმაც მართლდება, რომ ორანჟელებმა კოლესბურგი დაიჭირესო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. დღესვე მოსული დეპეშა იუწყება, რომ დღეს დილით მძიმედ დაიჭრა ყუმბარის ნამტვრევით ლეიტენანტი ეგერტონიო. ეს ერთად-ერთი დეპეშაა დღეს სამინისტროს მიერ ლედი-სმიტიდგან მიღებული.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. საღამოს $11\frac{1}{2}$ საათი. ნატალის გუბერნატორი იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათიდგან, ლედი-სმიტი სრულიად მოსწყვიტეს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებს, იქ მისვლა შეუძლებელიაო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ როგორც პიტერმარიცბურგიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურებმა ზულუსების მიწის ნაწილი დაიჭირეს. დაიჭირეს აგრეთვე პომეროიც, რომელიც გრეიტაუნიდგან 50 მილის მანძილზეა.

23 ოქტომბერი

**ლონდონი.** 22 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო“ სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ ორშაბათს ლედი სმიტთან მომხდარ ბრძოლაში მოკლულ იქმნა 6 აფიცერი და 54 ჯარის-კაცი; დაჭრილ იქმნა 9 აფიცერი და 231 ჯარის-კაციო.

დედოფლის ბრძანების თანახმად, 35 ბატალიონი მილიცია იქმნა მოწვეული 8 ნოემბრისთვის.

**ლეიპციგი.** მანიფესტაციაში, რომელიც ბურების სასარგებლოდ იქმნა გამართული, მონაწილეობა მიიღო 4000-მდე კაცმა და ქალმა. დაადგინეს თანაგრძნობა გამოუცხადონ ბურებს. ხელის მოწერა იქმნა გამართული დაჭრილთა სასარგებლოდ.

**ბერლინი.** ბრიუსელიდგან იუწყებიან, რომ ლეიდსის ფიქრით ბურების ძლიერი რაზმი ამ ჟამად პიტერმარიცბურგისა და დურბანისაკენ მიდის, რათა დურბანში საუკეთესო ადგილები დაიჭიროს და ინგლისის ჯარს ნაპირსედ გადმოსხმის ნება არ მისცეს.

**ბერლინი.** ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან: ბევრი გაზეთი შიშობს, რომ სამინისტრო არ იუწყება ბრძოლის ველიდგან მოსულ ყველა დეპეშებსაო.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ რკინის გზა დურბანსა და ლედი-სმიტს შუა თავისუფალია და ბურები ჯერ არ დასხმიან კოლენზოსაო.

**პარიჟი.** მინიციპალურმა საბჭომ დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს ბურებს, რომელნიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. ამასთან საბჭომ თავისი მწუხარება განაცხადა იმის გამო, რომ ევროპა არ ჩაერია ამ საქმეში.

**ლონდონი.** „Dailu Nems“ ს დეპეშით ატყობინებენ დურბანიდგან: აქ უკმაყოფილებას აცხადებენ იმის გამო, რომ ინგლისს ნატალში საკმარო ჯარი არა ჰყავს. ძალიან იმოქმედა განსაკუთრებით 18 ოქტომბერს იმდენის ინგლისელის ტყვედ წაყვანამ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ქუთაისელ კორესპოდენტს რომ ჩემს შესახებ ერთი ჭორი არ გამოეგონებინა „კვალის“ მე-30 №-ში, ჩვენ სასახელო ნახატებიან ჟურნალს სალაპარაკო მასალა შემოაკლდებოდა. თითქმის ყოველ ნომერში ხელი უნდა სტაცონ თანამშრომლებმა ამ მათთვის დიდად საინტერესო საგანს.

ეხლა „კვალის“ თანამშრომლები ვ. კანდელაკს არჩობენ, რატომ არ გვემოწმე ჩვენგან გავრცელებულ ჭორშიო!..

სასაცილოა, ღმერთმანი!.. მე ვაცხადებ ფიცით, რომ არ მიფიქრნია ცენზის შეცვლა მეთქი და „კვალს“-კი უნდა, უსათუოდ რამენაირად შესთხზას ის, რაც არ ყოფილა. აი, ბატონებო, „ცხრა თავიანი“ ძაღლის ამბავი: გუბერნიის საქალაქო საქმეების მდივანს ბ. ნიკიფორე კანდელაკს შევეკითხე ერთხელ: ახალის არჩევნების სიების შედგენამდის საჭიროა თუ არა საბჭოს დადგენილება ცენზის უკიდურესს რაოდენობის გარდასაწყვეტად მეთქი, რადგანაც საქალაქო დებულების იმ ნაწილში, რომელიც შეეხება განსაკუთრებით შემოკლებულ თვით-მმართველობას, არ არის გარკვევით ნაჩვენები გარდაწყვეტილი ცენზი. სიტყვა: „არა ნაკლებ ასის მანეთისა“, სრულიად არა ჰნიშნავს იმას, რომ ასი მანეთი სავალდებულოა; შეიძლება 110,120 და სხვა იმ უმაღლესს ზომამდის, რომელიც ნაჩვენებია და სავალდებულოდ ცნობილი საქალაქო დებულების მე-24 მუხლის ძალით. ჩემის აზრით, საჭიროა საბჭოსაგან გარდაწყვეტა და შეჩერება ერთს წერტილზედ: თვით ასი მანეთი მხოლოდ მაშინ იქმნება სავალდებულო უკიდურეს ცენზად ცნობილი, როდესაც საბჭო დაადგენს იმის შესახებ განაჩენს. აქ ყველა ჰხედავს, რომ მე მინდოდა დამეცვა მხოლოდ საბჭოს უფლება; ამის მეტი არც სურვილი გამომიცხადებია ცენზის გადიდებისა, არც მიფიქრია რამ ამის შესახებ და არც საბჭოსათვის მომიხსენებია ჯერ რამე. რაც შეეხება „კვალის“ ხელმძღვანელების მხრივ ჩემის მიმართულების დაწუნებას, ამის პასუხი საჭირო არ არის: ყოველის კაცის მიმართულება საქმეში გამოჩნდება. ჩვენ გვრწამს, რომ ყოველი აზრი და პრინციპი ადგილობრივ მკვიდრთა და საზოგადოდ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. აზრი აზრისათვის, პრინციპი პრინციპისათვის ჩვენ არა გვჯერა და არც გვინდა.

ნიკო თავდგირიძე


# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—24)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მელაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—35) ნ. წერეთელი

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანასი 40 კაპ.

ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი 1 მან. 50 კაპ.

თხზულებანი პუშკინისა 50 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 к.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 23 Октября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე